



## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### განკარგულება №15/40

2017 წლის 29 ივნისი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახურის უფროსის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება.

#### აღნიშნულიდან გამომდინარე:

##### მუხლი 1.

ცნობად იქნას მიღებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახურის უფროსის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. ( ანგარიში თან ერთვის).

##### მუხლი 2.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (ი.კაკულიამ), ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახურის უფროსმა (მ. მაკალათიამ) შეიმუშაონ და 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას წარმოადგინონ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის დაფინანსების კრიტერიუმები.

##### მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი,  
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია